

როგორ შთაბეჭდილებას უქმნის სხვებს შენი გაზიარებული სურათები?

დაფიქრდი შემდეგ სიტუაციებზე

სიტუაცია 1

წარმოიდგინე, რომ ხარ ერთ-ერთი წარმატებული კომპანიის მენეჯერი და გსურს, სამუშაოზე ახალგაზრდები აიყვანო. ისინი შენი კომპანიის სახე იქნებიან, ამიტომ ბუნებრივია ისეთ ახალგაზრდებს შეარჩევდი, რომლებიც პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს.

ახლა წარმოიდგინე, რომ შენი ერთ-ერთი მეგობარი, რომელიც გინდა, სამუშაოზე აიყვანო, შენთან მოვიდა გასაუბრებაზე. ქვემოთ დაწერე მისი სახელი.



სახელი: _____



ღირსეულად წარმოაჩენს ეს ადამიანი ჩემს კომპანიას თუ შელახავს მის რეპუტაციას?

მისი სურათების დათვალიერების შემდეგ მაქვს სურვილი, სამუშაოზე ავიყვანო?



სიტუაცია 2

წარმოიდგინე, რომ გასაუბრებამდე მიდიხარ წარმატებული კომპანიის მენეჯერთან და იმედი გაქვს, რომ ის სამუშაოზე აგიყვანს. მას სურს, რომ თავის კომპანიაში ახალგაზრდები დაასაქმოს. და რადგანაც ისინი მისი კომპანიის სახე იქნებიან, ის მათგან მოელის, რომ საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდებიან.


თუ სოციალური ქსელი გაქვს, შეამოწმე შენი გაზიარებული სურათები და კომენტარები. დაწერე, როგორი შთაბეჭდილება შეექმნებოდა შენს მომავალ დამსაქმებელს შენი პოსტების დათვალიერების შემდეგ. ეცადე, იყო ობიექტური.



სურათებმა სხვებს შეიძლება სხვადასხვაგვარი წარმოდგენა შეუქმნას ადამიანზე. მაგალითად, ზემოთ მოცემულმა სურათმა შეიძლება სხვებს აფიქრებინოს, რომ ეს ბიჭი . . .

1. უშიშარი
2. თავქარიანი

თითოეული სურათის ქვემოთ დაწერე, როგორი რეპუტაცია შეიძლება ჰქონდეს მას.



1. _____
2. _____



1. _____
2. _____

